100 დღე ხელისუფლებაში:
კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

18 თებერვალი, 2013

I ნაწილი: ახალი მთავრობის გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

გარდამავალი მართლმსაჯულება და სამართლიანობის აღდგენა

კახა კოჟორიძე, *საია*

მნიშვნელოვანი საკითხები:

- წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა გათავისუფლება;
- ამნისტია და პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება;
- საქმეთა განხილვა სასამართლოში;
- ყოფილი თანამდებობის პირთა დაკავება და გამოძიება;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გამოძიება;
- არჩევნების შემდგომ პერიოდში მომხდარი დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეების გამოძიება;
- კანონპროექტი მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ.

ახალი ხელისუფლება და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პრიორიტეტები

გიორგი გოგია, *Human Rights Watch*

მძიმე მემკვიდრეობა:

- სამართლიანობის აღდგენა საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

აუცილებელია:

- ციხეებში არსებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის აღკვეთა;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა;
- მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორება.

საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში

ლევან ნატროშვილი, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

ტენდენციები:

- განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ;
- რეგიონებში არ იქმნება საატესტაციო კომისიები ან, თუ იქმნება, უზრუნველყოფილი არაა მიუკერძოებლობა;
- ახალი კადრების კონკურსის გარეშე აყვანა.

ვფიქრობთ, საჭიროა:

- საკადრო ცვლილებები განხორციელდეს კონკურსების და ატესტაციის გზით;
- რეაგირება მოხდეს უკანონო დათხოვნებზე;
- პრემიერმინისტრის აპარატთან შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენები

ნინო ლომჯარია, *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“*

საპროტესტო აქციების ფონზე, არჩევნების შემდეგ მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელი პირების შეცვლის პროცესი მიმდინარეობს:

- დღემდე თანამდებობა დატოვა 46-მა გამგებელმა და 24-მა საკრებულოს თავმჯდომარემ;
- აქციები დღემდე 28 მუნიციპალიტეტში გაიმართა:
  - აქედან 24 შემთხვევაში საზოგადოების პროტესტი უკანონო ქმედებებით გამოიხატა;
- მასიური საკადრო ცვლილებები ძირითადად 21 მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა:
  - გათავისუფლებები პირადი განცხადების საფუძველზე.

სასამართლო სისტემის რეფორმა

კახა კოჟორიძე, *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“*

კანონპროექტი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ:

- იზრდება ინდივიდუალური მოსამართლის როლი;
- შესაძლებელი იქნება სასამართლო სხდომების ტრანსლაცია;
- უმჯობესდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი;
- იზრდება მოსამართლეთა თვითმმართველობის შიდა დამოუკიდებლობის ხარისხი.

რეკომენდაცია:

- უმჯობესი იქნება თუ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს არ შეუწყდებათ უფლებამოსილება.

მედიაგარემო არჩევნების შემდეგ

მამუკა ანდღულაძე, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

მისასალმებელი ტენდენციები:

- მიკერძოებული გაშუქების შემთხვევებმა იკლო;
- არ გამოვლენილა ჟურნალისტებისა ცემის, დაკავების, დაშინების თუ დაშანტაჟების ფაქტები;
- საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა.

გამოწვევები:

- ინტერნეტი თავისუფალია ხელისუფლების ცენზურისგან, თუმცა პრობლემებია პირადი მონაცემების დაცვის საკითხში;
- ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხს;
- მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ ფართო დისკუსიის წამოწყება აუცილებელია;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

მედიის სამართლებრივი რეგულირება: რეფორმის საჭიროება

ლაშა ტულუში, *რეზონანსი*

საინიციატივო ჯგუფის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მიზნად ისახავს საშუალო და გრძლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი საკითხების ახლებურად გადაწყვეტას:

1. სავალდებულო ტრანზიტი,
2. ტელევიზიების დაფინანსების გამჭვირვალობა,
3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი ორგანოების ეფექტიანობის გაზრდა,
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიო დეპარტამენტის სტატუსის განსაზღვრა.

II ნაწილი: მიმდინარე და სამომავლო რეფორმები

ტოლერანტობა, უმცირესობების კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

სოფიო ბენაშვილი, *სახალხო დამცველის ოფისი*

სახელმწიფო ვალდებულია, განავითაროს ტოლერანტობის კულტურა და დაიცვას უმცირესობების უფლებები:

- ადამიანების უფლებები თითქმის ყველა სფეროში ყოველდღიურად ილახებოდა და ირღვეოდა;
- არჩევნების შემდეგ ადგილი ჰქონდა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებებს ნიგვზიანსა და წინწყაროში;
- სექსუალური უმცირესობებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია.

ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ეფექტური ღონისძიებები:

- ნებისმიერი უმცირესობის უფლებების დარღვევის აღკვეთის მიზნით;
- გააგრძელოს ტოლერანტობის კულტურის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

საარჩევნო რეფორმის ძირითადი მიმართულებები

ნინო ლომჯარია, *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“*

აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- მოქმედი საარჩევნო სისტემის გადახედვა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლება;
- კანონმდებლობამ გამორიცხოს ადმინისტრაციული რესურსის პარტიული მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას;
- საარჩევნო სიების დაზუსტების სამუშაოების გაგრძელება;
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დახვეწა;
- კენჭისყრის ცალკეული პროცედურების გადახედვა;
- ეთნიკური უმცირესობების სათანადო ინფორმირების უზრუნველყოფა;
- სპეციალურ უბნებზე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა წრის შეზღუდვა.

კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში

ერეკლე ურუშაძე, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების ფარგლებში:

1. დაფუძნდა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

2. პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“:

- წინგადადგმული ნაბიჯი, შეიცავს აუცილებელ საბაზისო რეგულაციებს;
- რიგი ნაკლოვანებები:
  - სააგენტოს დამოუკიდებლობა და უფლებამოსილებები,
  - კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდავი ხელშეკრულებების დადგენის კრიტერიუმები,
  - ანტიკონკურენტული ქმედებების არასათანადო პრევენცია.

რეფორმები კონკურენციის სფეროში

ქეთევან ლაფაჩი, *საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი*

2012 წელს მიღებული კანონი 2005 წლის კანონთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა:

- არსებული სახით ვერ უზრუნველყოფს გარემოს გაჯანსაღებას;
- სააგენტო დღემდე ფორმალურ არსებობას აგრძელებს.

კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა:

- 2012 წლის დეკემბერში საზოგადოებას წარედგინა ინსტიტუტში მომზადებული კონკურენციის კანონისა და სააგენტოს კონცეფცია და მის საფუძველზე მომზადებული კონკურენციის შესახებ ახალი კანონის პროექტი.

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან და მთავრობასთან:

- საკანონმდებლო წინადადებები წარდგენილია საქართველოს პარლამენტში
- ინსტიტუტის კონცეფციის საფუძველზე კონკურენციის კანონისა და პოლიტიკის სრულყოფაზე მუშაობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

შრომის კანონმდებლობის რეფორმა

ლევან ნატროშვილი, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

წარდგენილი კანონპროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავს:

- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დასაქმებულის დაცვის ხარისხი;
- გაზრდილია დეკრეტული შვებულების ვადები;
- სამსახურიდან დათხოვნა კონკრეტული საფუძვლის გარეშე შეუძლებელი ხდება;
- განისაზღვრა ზეგანაკვეთური სამუშაოს მინიმალური ანაზღაურება და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ მეტ დამუშავებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სამსახურიდან გათავისუფლებისას წინასწარ შეტყობინების შესახებ ახალი ნორმა;
- კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავისას გაფიცვის უფლება გაუმართლებლად შეზღუდულია;
- კოლექტიური დათხოვნის მარეგულირებელი ნორმები შეიცავს რამდენიმე ბუნდოვან საკითხს;
- ზედმეტად მკაცრად არის დარეგულირებული ზეგანაკვეთური ანაზღაურების საკითხებიც.